სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080181963045619

№ 2939 08 / ივლისი / 2019 წ.

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისთვის“ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2019 წლის 4 ივლისს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ SMP190002822 მომართვა ექსკლუზიური უფლებამოსილების საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

2. შესყიდვის ობიექტი და მისი ღირებულება

მომართვის მიხედვით, შესყიდვის ობიექტია კომპიუტერული პროგრამა CAPE (CAPE®PSS)-ის ერთწლიანი ლიცენზია (CPV71600000 - ტექნიკური შემოწმება, ანალიზი და საკონსულტაციო მომსახურებები), ღირებულებით - 5371 ლარი.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ელექტროენერგეტიკულ ქსელში მოკლედ შერთვის დენები იანგარიშება და ასევე რელეური დაცვების დანაყენების გადამოწმება ხორციელდება პროგრამა CAPE-ში. გამომდინარე აქედან, პროგრამა CAPE მუდმივად უნდა იმყოფებოდეს განახლებულ მდგომარეობაში და საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი უნდა იყოს ახალი რელეური დაცვის მოწყობილობების დამატება, რისთვისაც აუცილებელია პროგრამული უზრუნველყოფის მწარმოებლის მხრიდან პროგრამის ლიცენზიის ვადის გაგრძელება და მხარდაჭერის სერვისის გაგრძელება.

სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისთვის 2016 წლიდან 2018 წლამდე CAPE (CAPE®PSS) პროგრამის ერთადერთ „მიმწოდებელს“ წარმოადგენდა კომპანია „Electrocon International inc.“, რადგან ის იყო აღნიშნული კომპიუტერული პროგრამის შემქმნელი და ჰქონდა ექსკლუზიური უფლებამოსილება CAPE (CAPE®PSS)-ის მსოფლიოს მასშტაბით ლიცენზირება/რეალიზაციაზე, თუმცა, „Siemens Industry, Inc.“-მა 2018 წლის 1 ოქტომბერს შეისყიდა ,,Electrocon International Inc“-ის 100% წილი, გახდა CAPE (CAPE®PSS)-ის უნიკალური კოდის ერთადერთი მფლობელი (ინტელექტუალური საკუთრების ფლობის უფლებით) და მას შემდეგ მხოლოდ მას აქვს ექსკლუზიური უფლებამოსილება აღნიშნული პროგრამული უზრუნველყოფის მსოფლიოს მასშტაბით ლიცენზირებასა და რეალიზაციაზე, ისევე, როგორც პროგრამულ მხარდაჭერაზე. ვინაიდან, საქართველოსთვის რეგიონის მიხედვით „Siemens Sanayi ve Ticaret A.S., Turkey“ (თურქეთის ოფისი) არის „Siemens Industry, Inc.“-ის ავტორიზირებული წარმომადგენელი, შემდგომში სს „სსე“-სთვის CAPE (CAPE®PSS)-ის მიმწოდებელი იქნება სიმენსის თურქეთის ოფისი. აღნიშნულ ინფორმაციას ასევე ადასტურებს „Siemens Industry, Inc.“-ის 2019 წლის 25 ივნისის წერილი და ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია.

სს „სსე“-ს საინჟინრო პერსონალი მუდმივად ეცნობა სიახლეებს და სხვადასხვა კომპანიების შემოთავაზებებსა და პრეზენტაციებს, თუმცა დღემდე კომპიუტერული პროგრამა CAPE (CAPE®PSS) -ის მიზანშეწონილი ალტერნატივა არცერთი კომპანიის მიერ არ იქნა შემოთავაზებული. იმ შემთხვევაშიც კი, თუ იქნება წარმოდგენილი კომპიუტერული პროგრამა CAPE (CAPE®PSS) -ის მიზანშეწონილი ალტერნატივა,

საჭირო გახდება ახალი პროგრამული უზრუნველყოფის ათვისების მიზნით საინჟინრო პერსონალის გადამზადება და ახალი კომპიუტერული პროგრამის დანერგვა, აღნიშნულის უზრუნველსაყოფად ასევე აუცილებელი იქნება პროგრამის მონაცემთა ბაზაში სს ,,სსე“-ს ელექტროენერგეტიკული ქსელის თითოეული კომპონენტის ტექნიკური პარამეტრების შეტანა. ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, არ არსებობს მიზანშეწონილი ალტერნატივა შესყიდვის ობიექტის ჩასანაცვლებლად.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

სააგენტო განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ექსკლუზიური უფლებამოსილების საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელების შესაძლებლობა, რამდენადაც, როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისთვის 2016 წლიდან 2018 წლამდე CAPE (CAPE®PSS) პროგრამის ერთადერთ „მიმწოდებელს“ წარმოადგენდა კომპანია „Electrocon International inc.“, რადგან ის იყო აღნიშნული კომპიუტერული პროგრამის შემქმნელი და ჰქონდა ექსკლუზიური უფლებამოსილება CAPE (CAPE®PSS)-ის მსოფლიოს მასშტაბით ლიცენზირება/რეალიზაციაზე, თუმცა, „Siemens Industry, Inc.“-მა 2018 წლის 1 ოქტომბერს შეისყიდა ,,Electrocon International Inc“-ის 100% წილი, გახდა CAPE (CAPE®PSS)-ის უნიკალური კოდის ერთადერთი მფლობელი (ინტელექტუალური საკუთრების ფლობის უფლებით) და მას შემდეგ მხოლოდ მას აქვს ექსკლუზიური უფლებამოსილება აღნიშნული პროგრამული უზრუნველყოფის მსოფლიოს მასშტაბით ლიცენზირებასა და რეალიზაციაზე, ისევე, როგორც პროგრამულ მხარდაჭერაზე. ვინაიდან, საქართველოსთვის რეგიონის მიხედვით „Siemens Sanayi ve Ticaret A.S., Turkey“ (თურქეთის ოფისი) არის „Siemens Industry, Inc.“-ის ავტორიზირებული წარმომადგენელი, შემდგომში სს „სსე“-სთვის CAPE (CAPE®PSS)-ის მიმწოდებელი იქნება სიმენსის თურქეთის ოფისი. აღნიშნულ ინფორმაციას ასევე ადასტურებს „Siemens Industry, Inc.“-ის 2019 წლის 25 ივნისის წერილი და ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია. ამასთან, არ არსებობს მიზანშეწონილი ალტერნატივა შესყიდვის ობიექტის ჩასანაცვლებლად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

სააგენტო დამატებით აღნიშნავს, რომ მომსახურების გაწევაზე ექსკლუზიური უფლებამოსილების მქონე ორგანიზაციის შერჩევის პროცედურების წარმართვა წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის პასუხისმგელობას. ამასთან, წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ SMP190002822 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

თავმჯდომარე ლევან რაზმაძე